საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№107 2017 წლის 28 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოთ:

ნიკოლოზ გოგილიძეს - სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” თავმჯდომარე; მომლაპარაკებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი; მანვე უზრუნველყოს „საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების

ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების პროცესის საერთო ხელმძღვანელობა და წარმართვა;

მანანა ფრუიძეს - სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი კობახიძეს - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის მრჩეველი;

ხატია წილოსანს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი სამანიშვილს - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე;

თათია კერესელიძეს - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;

თეა კუნჭულიას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

გიორგი კვირიკაშვილი